საქართველოს მთავრობის

დადგენილება №492

2019 წლის 17 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისათვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №284 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№3024-რს, 5/07/2018) მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისათვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №284 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/07/2011, 010330000.10.003.016443) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოლიმპიური ჩემპიონების, პარალიმპიურ თამაშებსა და საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისათვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ“.

2. პირველი მუხლის:

ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ოლიმპიურ ჩემპიონებს, პარალიმპიურ თამაშებსა და საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულებს დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

4. 2011 წლისა და შემდგომი წლების ოლიმპიური ჩემპიონების, პარალიმპიური თამაშების, საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატების სტიპენდიისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გამოიყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.“;

ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**